

საქართველოს ეროვნული ბანკი აცხადებს ვაკანსიას ფულის გათეთრების ინსპექტირებისა და ზედამხედველობის დეპარტამენტის კომერციული ბანკების და საგადახდო მომსახურების პროვაიდერების ინსპექტირების განყოფილების სპეციალისტის პოზიციაზე.

სამუშაოს სპეციფიკა: პოზიცია მოიცავს დინამიურ და მრავალმხრივ სამუშაოს საინტერესო და ძლიერი პროფესიონალების გუნდში, რაც საშუალებას აძლევს დასაქმებულს სრულად წარმოაჩინოს და განავითაროს თავისი შესაძლებლობები, მათ შორის შიდა და ორგანიზაციის გარეთ ტრენინგების მეშვეობით.

მოვალეობები:

- საფინანსო სექტორის წარმომადგენლებთან კომუნიკაცია უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნებთან დაკავშირებით;
- საფინანსო სექტორის წარმომადგენლების ადგილზე შემოწმება უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღმკვეთ კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით;
- შემოწმების შედეგად საფინანსო სექტორის წარმომადგენლისათვის მიცემული რეკომენდაციების / განსაზღვრული გასატარებელი ღონისძიებების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება;
- შემოწმების შედეგად აღმოჩენილი რისკ-ფაქტორების ანალიზი, განზოგადება და შესაბამისი ტიპოლოგიების შექმნა;
- საფინანსო სექტორის წარმომადგენლების შემოწმებისათვის საჭირო დოკუმენტების და შემოწმების შედეგების შესახებ ინფორმაციის მომზადება;
- საფინანსო სექტორის წარმომადგენლების შემოწმების შედეგების შესახებ კომუნიკაცია შესაბამის უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებთან;
- განვითარებული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის გაცნობა, აღნიშნული პრაქტიკის განზოგადება და მეთოდოლოგიის დანერგვის და შემუშავების პროცესში მონაწილეობის მიღება;
- FATF-ისა და ფულის გათეთრების აღკვეთის სფეროში მოქმედი სხვა კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციების ტიპოლოგიური კვლევების და რეკომენდაციების შესწავლა და ანალიზი.

სავალდებულო მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება სამართალმცოდნეობის ან ფინანსების მიმართულებით (სასურველია მაგისტრის ხარისხი);
- უპირატესობა მიენიჭება საფინანსო სექტორში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის და სამართლებრივი შესაბამისობის კუთხით მუშაობის გამოცდილებას;
- ინგლისური ენის სრულყოფილად ცოდნა (საუბარი და წერა);
- საოფისე პროგრამები (Word, Excel, PowerPoint);

- შემდეგი საკანონმდებლო ბაზის ცოდნა: „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი; „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი; საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობის მარეგულირებელი წესები და ინსტრუქციები; „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი; საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის დებულებები და ნორმატიული აქტები; International standards on combating money laundering and the financing of terrorism & proliferation (FATF 40 recommendations) .

უნარები

- გუნდური მუშაობის უნარი;
- კრიტიკული აზროვნების უნარი;
- არგუმენტირებული მსჯელობის უნარი;
- დეტალებზე ორიენტირებულობა;
- ეფექტური წერითი კომუნიკაცია (დრაფტინგი);
- ხარისხზე ორიენტაცია;
- დისციპლინირებულობა და აკურატულობა.

თანამდებობრივი სარგო: 2700-3700

კონკურსის ფორმა - კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად:

- 1) პირველი ეტაპი - ტესტირება, რომლის ფარგლებშიც შემოწმდება კონკურსანტის ცოდნა ზემოთ მითითებული სამართლებრივი აქტების ფარგლებში;
- 2) მეორე ეტაპი - ინტერვიუ.

დაინტერესების შემთხვევაში, გთხოვთ, 2018 წლის 24 იანვრამდე CV გამოაგზავნოთ ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: vacancies@nbg.gov.ge. სათაურის ველში აუცილებლად მიუთითეთ ვაკანსიის დასახელება - **საბანკო ინსპექტირების სპეციალისტი**.